ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ნინო კაკალაშვილი
თსუ

ყივჩაღები და საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების ხანაში*

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღებს არ შეუწყვეტიათ საქართველოსთან ურთიერთობა. თუმცა ეს ურთიერთობები არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი და ქართველ მეფეთა დამოკიდებულებაც განსხვავდებოდა ყივჩაღთა მიმართ. დავით IV-ის მეფობის პერიოდში ყივჩაღები უზრუნველყოფილი იყვნენ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში, მონაწილეობდნენ დავითის მიერ წარმოებულ ბრძოლებში და აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებზე. ვითარება იცვლება დავითის გარდაცვალების შემდეგ 1125 წელს. ამასთანავე, ამავე წელს გარდაიცვალა ყივჩაღთა მთავარი მოწინააღმდეგე ვლადიმირ მონომახი. ყივჩაღთა წასვლა-დარჩენის საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. საინტერესოა დარჩნენ თუ არა ისინი საქართველოში და რა გახდა მათი წასვლის მიზეზი. საისტორიო წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდებით ამ საკითხებზე მსჯელობასა და საკუთარი პოზიციის წარმოჩენას. გარდა ამისა, გვსურს ყურადღება მივაქციოთ ქართველი მეფეების დემეტრე I-ის, გიორგი III-ისა და თამარის პოლიტიკას ყივჩაღთა მიმართ. გვსურს ვიმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია ცვლილებები ქართველ მეფეთა დამოკიდებულებაში ყივჩაღთა მიმართ, აგრეთვე, გვსურს განვსაზღვროთ რა როლი ენიჭებოდათ ყივჩაღებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში დავითის შემდგომ ხანაში.

* კვლევა PHDF – 22-4327 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ქართულ-ყივჩაღურ ურთიერთობებზე ცნობებს გვაწვდის როგორც ქართული,[1] ისე უცხოური[2] საისტორიო წყაროები. ქართული წყაროები ყივჩაღთა შესახებ დეტალურ ცნობებს არ გვაწვდიან. ინფორმაცია მწირია და არ არის საკმარისი სიღრმისეული კვლევისათვის. ამ დანაკლისს მნიშვნელოვნად ავსებს უცხოური წყაროები, აგრეთვე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები.

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღთა წინაშე დგება საქართველოში დარჩენის ან მშობლიურ სტეპებში დაბრუნების საკითხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი შეჯერებული მოსაზრება არ არსებობს. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ყივჩაღთა ნაწილი ფეოდალთა ფენას შეუერთდა სხვები კი – გლეხთა ფენას.[3] ისტორიკოსები შოთა მესხია და როინ მეტრეველიც მიიჩნევენ, რომ ყივჩაღები შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და გაქართველდნენ, სწორედ ამით ხსნიან ისინი, რომ მათგან არანაირი კვალი არ დარჩა.[4] თუმცა არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად მართალია მცირე, მაგრამ შეიმჩნევა ყივჩაღური კვალი საქართველოში.[5] ზურაბ ანჩაბაძე და მარინე ცინცაძე იზიარებენ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას და თვლიან რომ საქართველოში გადმოსახლებულმა ყივჩაღებმა შეავსეს გლეხთა რიგები, ხოლო მათი ზედაფენა ფეოდალური კლასის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოში დასახლებული ყივჩაღები ნაწილობრივ გაითქვიფნენ ქართულ მოსახლეობაში.[6] სოსო მარგიშვილი თვლის რომ ყივჩაღთა ნახევარი მაინც დარჩებოდა საქართველოში, ხოლო დანარჩენი

---

[1] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსცა მ. შანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. ტექსტი გამოსცა ც. კურციკიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ტექსტი გამოსცეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია. საისტორიო მოამბე. ტ. 6. თბ. 1952; G. A. Perfecky. The Hypathian Codex. Part II. The Galician-Volynian Cronicle. Harvard series in Ukrainian studies. Vol. 16. II. 1973.

[3] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 2. პირველად გამოიცა 1914. თბ. 1983, გვ. 197.

[4] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 178; რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბ. 1990, გვ. 178.

[5] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. წ. 3. თბ. 2013; მ. წურწუმია. ყივჩაღური კვალი შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურაში (XII-XIV სს. მუზარადების მიხედვით). საისტორიო კრებული. წ. 5. თბ. 2015.

[6] ზ. ანჩაბაზე, მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 155-157.

ათრაქასთან ერთად დაბრუნდებოდა თავიანთ სამშობლოში.[7] მამუკა წურწუმია, ითვალისწინებს რა ვოლინელი მემატიანის ცნობას ათრაქას ყივჩაყეთში დაბრუნების შესახებ, აგრეთვე საქართველოში აღმოჩენილ ყივჩაღთა სამარხებსა და საისტორიო წყაროების ცნობებს, იზიარებს სოსო მარგიშვილის მოსაზრებას, რომ ყივჩაღთა ნახევარი საქართველოში დარჩა.[8] ასევე ვოლინელი მემატიანის ცნობის საფუძველზე, პიტერ გოლდენი თვლის, რომ ყივჩაღთა დიდი ნაწილი დაბრუნდა უკან, თუმცა არ უარყოფს ყივჩაღთა გარკვეული ნაწილის, რომელიც უშუალოდ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საქართველოში დარჩენას.[9]

განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ჯემალ სტეფნაძე. მისი აზრით, ყივჩაღთა უმრავლესობა დაბრუნდა მშობლიურ სტეპებში.[10] ამას მეცნიერი ვოლინელი მემატიანის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს. იგი თვლის, რომ შეუძლებელი იყო ათრაქა თავისი თანატომელების გარეშე დაბრუნებულიყო თავის ძმასთან, სირჩანთან, რადგან ათრაქა შარაღანის ძის, როგორც მთავრის, ავტორიტეტი მის თანატომელებზე იყო დამოკიდებული და ყივჩაყეთში მათ გარეშე არ დაბრუნდებოდა.[11] ვოლინელი მემატიანის მიხედვით, სირჩანმა გაგზავნა მებუკე ორევა საქართველოში, რათა ათრაქასთვის ეცნობებინა ვლადიმირ მონომახის გარდაცვალება და ეთხოვა რომ უკან დაბრუნებულიყო.[12] აღსანიშნავია, რომ ვლადიმირ მონომახის სიკვდილის შემდეგ, რომელიც სათავეში ედგა რუსების გაერთიანებას ყივჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსული სამეფო-სამთავროები არეულობამ მოიცვა. ამით შეეძლოთ ესარგებლათ ყივჩაღებს და აღედგინათ თავიანთი პოზიციები. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სირჩანი ათრაქასგან უკან დაბრუნებას ითხოვს. მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: სირჩანი ეუბნება მებუკეს რომ თუ ათრაქა უარს იტყვის დაბრუნებაზე, *"მისცეს საყნოსავად ჯადო მწვანილი ევშანი"*.[13] ჩანს, რომ ათრაქას

[7] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 119.
[8] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 165.
[9] P. B. Golden. The Qipcaqs in Georgia. Archivum Eurasiae Medii Aevi. IV. Wiesbaden. 1984, გვ. 72.
[10] ჯ. სტეფნაძე. სად წავიდნენ ყივჩაღები? მნათობი. No 8. თბ. 1984, გვ. 156.
[11] ჯ. სტეფნაძე. სად წავიდნენ ყივჩაღები? გვ. 156.
[12] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1956, გვ. 190.
[13] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 190.

შეიძლებოდა უარი ეთქვა დაბრუნებაზე. იასე ცინცაძე აღნიშნავს: "ვოლინელი მემატიანის ცნობით ჩანს, რომ ათრაქა საქართველოში ძალიან კარგად გრძნობდა თავს და არც თუ ისე ადვილად გადაწყვეტდა სამშობლოში დაბრუნებას."[14]

საინტერესოა იმ მიზეზების განხილვა, რაც ერთი მხრივ განაპირობებდა ყივჩაღთა საქართველოში დარჩენის სურვილს და მეორე მხრივ სამშობლოში დაბრუნების. ვოლინელი მემატიანის ცნობის მიხედვით, სირჩანი ათრაქასთან გამოგზავნილ მებუკე ორევას ასეთ მითითებებს აძლევს: *"ვლადიმერი უკვე მკვდარია, მოდი და დაბრუნდი შენს ქვეყანაში. გადაეცი ეს ჩემი სიტყვები მას, უმღერე ყივჩაღური სიმღერები; და უკეთუ არ ისურვოს წამოსვლა, მიეცი მას საყნოსავად ჯადო მწვანილი ევშანი."*[15] ათრაქამ მართლაც არ ისურვა დაბრუნება და ორევმა მიაწოდა ჯადო მწვანილი ევშანი, რის შემდეგაც აცრემლებულმა ოტროკმა თქვა: *"უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩავწვე, ვიდრე უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო." და დაბრუნდა იგი თავის ქვეყანაში.*[16] წარმოდგენილი ცნობიდან ჩანს, რომ ათრაქას დაბრუნების მიზეზი არის მშობლიური ქვეყნის მონატრება და ერთგულება, თუმცა, ვფიქრობთ ეს არ იქნებოდა ყივჩაღთა მთავრის გადწყვეტილების მიღების მთავარი საფუძველი. ასე რომ ყოფილიყო, ათრაქა თავიდანვე დათანხმდებოდა მშობლიურ სტეპებში დაბრუნებას. სირჩანი არ გამორიცხავდა მოვლენათა ასეთ განვითარებას. შესაბამისად, ათრაქას ასეთი პოზიცია უნდა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ყივჩაღები საქართველოში კარგად და უზრუნველად ცხოვრობდნენ. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფემ ყივჩაღები უზრუნველყო, აღჭურვილობით, ცხენებითა და საქონლით, საცხოვრებლით, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით.[17] დავით VIII-ის მიერ 1297 წელს გაცემული საბუთის ცნობით, არსებობდა საყივჩაყო გადასახადიც, რომელსაც სპეციალური მოხელე მესაყივჩაყე კრეფდა.[18] ეს გადასახადი ყივჩაღთა სამხედრო და ეკონომიკური უზრუნველყოფისთვის იქნებოდა საჭირო. ამასთანავე, ყივჩაღები მალევე მეფისგან დამოუკიდებლადაც გაიჩენდნენ შემოსავალს. ასეთი შემოსავლის წყარო მათ მიერ მოწ-

[14] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 200.
[15] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 190.
[16] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 190.
[17] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320; 329.
[18] თ. ენუქიძე. XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი „მესაყივჩაყე". ქართული წყაროთმცოდნეობა. IV. თბ. 1973. გვ. 33-34.

ყობილი მარბიელი რეიდები იქნებოდა. ასეთ ლაშქრობებს რომ ყივჩაღები ხშირად მიმართავდნენ, მეტყველებს დავითის ისტორიკოსის ცნობა: სულთანი *"ზედაჲსზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუნითა მომშვიდებად პირსა მისსა", და ეძიებნ მშჳდობასა და სიყვარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა".*[19] დავითის ისტორიკოსისავე ცნობით ყივჩაღები ქართველ მოსახლეებსაც იტაცებდნენ და მეფე მათ ფულით გამოიხსნიდა ხოლმე.[20] შესაბამისად, ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ყივჩაღებს წასვლის სურვილი არ გაუჩნდებოდათ.

თუმცა ათრაქა თავის მშობლიურ მხარეში დაბრუნდა. მას, რა თქმა უნდა, ყივჩაღთა ნაწილიც გაჰყვებოდა. ვიზიარებთ სოსო მარგიშვილისა და მამუკა წურწუმიას უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ყივჩაღთა ნახევარი საქართველოში დარჩა. ყივჩაღებს სამშობლოში დაბრუნების გარკვეული მიზეზები ექნებოდათ. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი უნდა იყოს ვლადიმირ მონომახის სიკვდილი. ვლადიმირ მონომახმა შეძლო რუს მთავართა ყივჩაღთა წინააღმდეგ გაერთიანება.[21] თუმცა ეს ერთობა მისი სიკვდილის მერე კვლავ დაიშალა და ყივჩაღებმაც ისარგებლეს არსებული პოლიტიკური ვითარებით. რადგან რუსთაგან მომდინარე საფრთხე აღარ არსებობდა, ათრაქას შეეძლო დაბრუნებულიყო მშობლიურ სტეპებში. მათ ამ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამაც. დავითი ყივჩაღთა მიმართ კეთილგანწყობილი იყო, არ ჩანს მეფის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიება ყივჩაღთა მიმართ, როდესაც ისინი იტაცებდნენ ქართველ მოსახლეებს, უფრო მეტიც, მათ მეფის ღალატიც სცადეს. თუმცა დავითის ისტორიკოსი მეფის მიერ ყივჩაღთა წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ქმედებაზე არ საუბრობს.

ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ უნდა შეცვლილიყო დამოკიდებულება ყივჩაღთა მიმართ. ეს უნდა გამხდარიყო კიდევ ერთი მიზეზი ყივჩაღთათვის საქართველოდან წასვლისა. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არ ჩანს დემეტრე I-ის დამოკიდებულება ყივჩაღთა მიმართ. არც სხვა საისტორიო წყაროები საუბრობენ დემეტრეს ანტიყივჩაღურ დამოკიდებულებაზე. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ყივჩაღები დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში არ ჩანან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყივჩაღები მეფის

[19] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 329.
[20] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 338.
[21] The Russian Primary Chronicle. Translated and edited by Samuel Hazzard Cross and Olgerd P. Sherbowitz-wetzor. Cambridge, Massachusets. 1953, გვ. 200.

კეთილგანწყობით არ სარგებლობდნენ და მათი როლი მეტად შემცირებული იყო ქართულ არმიაში. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს:

"და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი და არა ცუდად დაშურა, არცა უსაქმოდ იქმნა გამოყვანებაჲ მათი, არამედ მათითა ხელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანაყოლითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქვას წალმართ."[22]

ისტორიკოს ჯაბა სამუშიას აზრით, დავითის ისტორიკოსი თხზულების ამ ნაწილში თითქოს ეკამათება ვიღაცას, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებით ყველა კმაყოფილი არ იქნებოდა.[23] ანტიყივჩაღური დამოკიდებულება რომ დავითის მეფობის პერიოდშიც იქნებოდა, აღნიშნავს ჯ. სტეფნაძეც. მისი თქმით ქართველი მოსახლეობა უკმაყოფილო იქნებოდა ყივჩაღებისთვის საძოვრების გადაცემით, ამასთანავე, ყივჩაღთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადითა და ყივჩაღთა ცხოვრების წესით, რომელიც ძარცვა-რბევასაც გულისხმობდა.[24] დავითის გარდაცვალების შემდეგ კი ყივჩაღთა მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ამასთანავე, დემეტრე I-ისთვის საფრთხეს წარმოადგენდა თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი, რომელიც დავითს ყივჩაღი დედოფლისგან, გურანდუხტისგან, შეეძინა. 1130 წელს ვახტანგი მართლაც გამოვიდა დემეტრეს წინააღმდეგ, თუმცა მისი მცდელობა ტახტის დაკავებისა წარუმატებლად დასრულდა.[25] ამ აჯანყების შესახებ ცნობებს გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი. იგი აღნიშნავს:

"დაახლოებით იმ დროს ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ. ივანემ უთხრა: რატომ დამიჭირე მამა? მან გაგულისებულმა უთხრა: არა მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა. მეფემ შეიპყრო ის, თვალები დასთხარა და გაუშვა.[26]

---

[22] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.
[23] ჯ. სამუშია. დიდგორის ბრძოლა. თბ. 2021, გვ. 184.
[24] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე. თბ. 1999, გვ. 207-208.
[25] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 208.
[26] ვარდან არეველცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ეკა კვაჭანტირაძემ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. 2024, გვ. 173.

დემეტრეს ძმაში იგულისხმება დავით აღმაშენებლის ვაჟი ვახტანგი.[27] ვახტანგი როგორც აღვნიშნეთ, დავითს ყივჩაღი დედოფლისგან შეეძინა. შესაბამისად, ვიზიარებთ ჯ. სტეფნაძის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ვახტანგს ამ გამოსვლაში მხარს დაუჭერდა ათრაქა შარაღანის ძე თავისი ყივჩაღებით.[28] გამარჯვების შემთხვევაში ყივჩაღები თავიანთ გავლენას შეინარჩუნებდნენ და პოზიციებს განიმტკიცებდნენ. თუმცა ვახტანგი დამარცხდა და ათრაქაც იძულებული იყო საქართველოდან წასულიყო. დემეტრე I-ისგან მას არანაირი მხარდაჭერა აღარ ექნებოდა. ყივჩაღთა ნაწილი საქართველოში დარჩა, თუმცა ისინი არ ჩანან დემეტრეს მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში. ყივჩაღებმა თავიანთი გავლენა დაიბრუნეს მხოლოდ გიორგი III-ის დროს.

გიორგი III დემეტრესგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს ყივჩაღთა მიმართ. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გიორგი III-ისთვის ყივჩაღები ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალად იქცნენ. ეს უკავშირდება დემნა უფლისწული აჯანყებას გიორგი III-ის წინააღმდეგ. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, თბილისში მყოფ გიორგი მეფეს მხოლოდ ყუბასარი ეახლა ხუთი ათასიანი ყივჩაღთა რაზმით, *"ხოლო მეფე გიორგი სჯდა ტფილისსა შინა, თვინიერ ძალთა, და უწოდა რომელსამე ყიბჩაღს, რომელსაც ეწოდა ყუბასარ და ჰპოვა ჯარი ვიდრე ხუთ ათასამდე. და გარდა მისსა არავინ ჰყვა შემწედ."*[29] ყუბასარი გიორგი მეფის სამსახურში დგას და მოწოდებისთანავე ყივჩაღთა რაზმით ეახლება. ვვარაუდობთ, რომ ეს ხუთი ათასიანი ყივჩაღთა რაზმი გიორგი III-ის დროსაც მონასპას უნდა წარმოადგენდეს. ეს ყივჩაღები დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლებულ ყივჩაღთა შთამომავალნი უნდა იყვნენ. საინტერესოა ყივჩაღთა რაზმის მეთაური ყუბასარი. ის გიორგი მეფემ გაწეული დახმარების სანაცვლოდ დააწინაურა და უბოძა ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა. სტეფანოზ ორბელიანი ყუბასარის დაწინაურების შესახებ აღნიშნავს:

"ხოლო ოდეს განჰსდევნა გიორგიმან ორბელიანნი, განუყო მამული მათი სხუათა: რომელიმე მისცა მტერთა და მიმცემელთა მათთა და დანაშთომი მისცა ყიფჩაღსა მას ყუბასარს, რომელიცა ზემორე ვსთქუით, და მისცა მას ალაგი მთავრობისასა მათისა და ამყოფა სპასალარად გინა

[27] ვარდან არეველცი. სომხეთის ისტორია, გვ. 281.
[28] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 208.
[29] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 60.

სპასპეტად ყოვლისა საქართველოისა.”[30]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყუბასარი ნაყივჩაღარად მოიხსენიება. ყუბასარს ნაყივჩაღარად მოიხსენიებს ივანე ჯავახიშვილი.[31] თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსახვებული მოსაზრებაც. ჯემალ სტეფნაძე აღნიშნავს რომ ყუბასარი ყივჩაღია და ამას მიიჩნევს სტეფანოზ ორბელიანის ცნობის საფუძველზე.[32] სტეფანოზ ორბელიანი ყუბასარს ორჯერ იხსენიებს და ორივეჯერ ყივჩაღად მიიჩნევს.[33] რას უნდა გულისხმობდეს ყუბასარის ნაყივჩაღარობა? ჯ. სტეფნაძე ნაყივჩაღარად თვლის გაქართველებულ ყივჩაღს, რომელიც საუბრობს ქართულად, არის ქრისტიანი, მისდევს მიწათმოქმედებას და ცხოვრობს ქართველი აზნაურის ცხოვრების წესით.[34] ვფიქრობთ ყუბასარს ქრისტიანობა მიღებული უნდა ჰქონდეს. დავითის ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაღთა უმრავლესობა გაქრისტიანდა.[35] ყივჩაღებს ადვილად შეეძლოთ სხვა რელიგიის მიღება, თუმცა ისინი არ ივიწყებდნენ საკუთარ რწმენა-წარმოდგენებს და როგორც მ. წურწუმია აღნიშნავს ყივჩაღებისთვის ქრისტიანობა დაემატა მათ რწმენას და მათმა რელიგიამ სინკრეტული ხასიათი მიიღო.[36] თუ ჩავთვლით რომ ყუბასარი ყივჩაღთაგან შემდგარი მონასპის მეთაურია, მაშინ ის აუცილებლად გაქრისტიანებული იქნებოდა. დავითის ისტორიკოსის ცნობით მონასპა შედგებოდა ხუთი ათასი რჩეული მეომრისგან, რომლებიც *“ყოველნი ქრისტეანე ქმნილნი”* იყვნენ.[37] დავითის მეფობის დროს ყივჩაღებს გადაეცათ მათთვის ხელსაყრელი ადგილები საცხოვრებლად, აგრეთვე საზამთრო და საზაფხულო სადგომები. შესაბამისად, მათ უკვე ჰქონდათ მუდმივი სადგომები. მას შემდეგ რაც ყუბასარი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი გახდა, ის სხვა ქართველი ფეოდალივით დაიწყებდა მისთვის ბოძებული მამულების მართვას. ვფიქრობთ, საკმარისი დრო ექნებოდა იმისთვის, რომ ქართულ კულტურულ გარემოში დაემკვიდრებინა თავი, ამას ხელს შეუწყობდა ქრისტიანობის მიღებაც.

სამეფო კარი კეთილგანწყობილი იყო ყუბასარის მიმართ, რო-

---

[30] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 63.
[31] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 243.
[32] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 203-204.
[33] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 60, 63.
[34] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 202-203.
[35] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.
[36] მ. წურწუმია. ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 165.
[37] ცხორებაი მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 320.

გორც გიორგი III-ის, ისე თამარის მეფობის ხანაში. თამარის ისტორიკოსი დადებითად ახასიათებს ყუბასარს. მემატიანე აღნიშნავს: "ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი."[38] ყუბასარის შეფასებაში თამარის ისტორიკოსი არ უნდა ცდებოდეს. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, ყუბასარი ერთგულად ემსახურა გიორგი მეფეს და მისი მოწოდებისთვანავე ყივჩაღთა რაზმით ეახლა. მართალია, ყივჩაღები როგორც ქართული ისე უცხოური საისტორიო წყაროების ცნობების მიხედვით განსაკუთრებული ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს ყუბასარის შემთხვევაში მისი ერთგულება ეჭვს არ იწვევს. იგი ერთგულად ემსახურა ჯერ როგორც ყივჩაღთა რაზმის მეთაური გიორგი III-ს, ხოლო შემდეგ როგორც ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ჯერ გიორგი მეფესა და შემდეგ თამარ მეფეს. თამარი რომ ყუბასარისადმი კეთილგანწყობილია, ჩანს იქიდანაც, რომ ყუბასარს მხოლოდ ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა და ლორე ჩამოართვეს, სხვა მამულები კი მეფემ შეუნარჩუნა, "თვინიერ ჴელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა დააკლო და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდი მიცვალებისა."[39]

განსხვავებული იყო ქართველ დიდებულთა დამოკიდებულება ყუბასარის მიმართ. მათთვის იგი უგვაროა. დიდებულებმა თამარს ყუბასარის გადაყენება მოსთხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ყუბასარი ყივჩაღთა რაზმის მეთაურია და ყივჩაღთა შორის მაღალ სოციალურ საფეხურზე დგას, ქართველი დიდებულებისთვის ის მაინც უგვაროა და მიუღებელია მათთვის, რომ მას დიდი თანამდებობები ეკავოს. სტეფანოზ ორბელიანიც გიორგი III-ის მიერ ორბელთა მამულების სხვებისთვის გადაცემის საკითხზე საუბრისას, გამოყოფს ყუბასარს და მის წარმომავლობას უსვამს ხაზს.[40] მემატიანე ამას ორბელთა პოზიციიდან წერს და, შესაბამისად, ის აშკარად უარყოფითად ჩანს განწყობილი ყუბასარის მიმართ. ყუბასარი მისთვის ყივჩაღია და უცხოა და არც ორბელთა სამფლობელოებს იმსახურებს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ერთ ცნობას: *"ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძა-*

[38] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 405.
[39] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 405.
[40] ლ. მელიქსეთ-ბეგი. სტეფანე სივნიელის ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, გვ. 63.

ნის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლი.”[41] ჩანს, ყივჩაღებს თავიანთ მშობლიურ სტეპებში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ საქართველოსთან ურთიერთობა. ამ ცნობის მიხედვით ისინი საქართველოს მეფის ვასალები არიან. ყივჩაღები რომ საქართველოში დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაც მოდიან, ჩანს იბნ ალ-ასირის ცნობიდან: “ჩვენ რომ ქართველებთან ერთად გვდომოდა ბრძოლა, მაშინ ყველაზე გრძელი, ძნელი და დამღლელი შირვან-დერბენდის გზით კი არ მოვიდოდით, არამედ მათ ქვეყანაში შემოვიდოდით ისე, როგორც შემოვდიოდით ადრე.[42]

ყივჩაღები თამარის მეფობის პერიოდშიც აქტიურად ჩანან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ასპარეზზე. ისინი საქართველოში მოდიან როგორც დასასახლებლად, ისე სამხედრო სამსახურისთვის. ამაზე მეტყველებს მემატიანის ცნობა: *“მას ჟამსა ძმა ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად.”*[43] ეს ცნობა მიუთითებს ყივჩაღთა რაზმის, რომელსაც სავალათი მეთაურობს, საქართველოში ყოფნასა და სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობაზე. საინტერესოა მემატიანის კიდევ ერთი ცნობა: “*პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი.”*[44] ვინ არიან ეს ახალი ყივჩაღები? ყივჩაღები, რომლებიც მოვიდნენ სამხედრო სამსახურისთვის სავალათის მეთაურობით, თუ ყივჩაღთა სხვა ჯგუფი, რომელიც საქართველოში დასასახლებლად არის მოსული? ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოქთმული. ჯემალ სტეფნაძე თვლის, რომ ეს ყივჩაღები სამხედრო სამსახურისთვის მოსული ყივჩაღები არიან, რომლებიც გასამრჯელოს სანაცვლოდ გარკვულ დროს საქართველოში არიან, შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებიან.[45] განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს პიტერ გოლდენი. მისი თქმით, მემატიანე იმიტომ იყენებს ამ ტერმინს, რომ განასხვავოს თამარის დროს ჩამოსახლებული ყივჩაღები დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლებული ყივჩაღებისაგან.[46] საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობა, რომლის მიხედვითაც ყივჩაღებმა საქართველოს მეფეს გიორგი IV ლაშასა და ათაბაგ ივანეს

[41] ლაშა-გიროგის დროინდელი მემატიანე, გვ. 353.
[42] ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. VII. თბ. 1987, გვ. 77.
[43] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 435.
[44] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 436.
[45] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 209-210.
[46] P.B. Golden. Qipchaqs in Georgia, გვ. 64.

საქართველოში დასახლება სთხოვეს, თუმცა საქართველოს სამეფო კარმა მათი ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.[47] პიტერ გოლდენი ქართველთა უარს იმით ხსნის, რომ ამ დროს საქართველოში უვე საკმარისი ყივჩაღი ცხოვრობდა და ყივჩაღთა ახალი ჯგუფის მიღება აღარ სურდათ.[48] ჯუვეინი რუსუდანის დროს ბოლნისის ბრძოლის აღწერისას ქართულ არმიაში ოცი ათასიან ყივჩაღთა რაზმს ასახელებს.[49] შეიძლება ეს რიცხვი გაზვიადებულია, მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში საქართველოში საკმარისი რაოდენობის ყივჩაღი ცხოვრობდა. ჯუვეინის მიერ მოხსენიებული ყივჩაღები, ვფიქრობთ საქართველოში იქნებოდნენ ჯერ თამარის და გიორგი IV ლაშას და შემდგომ რუსუდანის მეფობის პერიოდშიც. შესაბამისად, ვიზიარებთ პიტერ გოლდენის მოსაზრებას, რომ "ყივჩაყნი ახალნი"[50] საქართველოში დასასახლებლად მოსული ყივჩაღები არიან.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაღთა გარკვეული ნაწილი დაბრუნდა მშობლიურ სტეპებში, რასაც ხელი შეუწყო როგორც საშიანაო, ისე საგარეო ფაქტორებმა. დემეტრე I-ის გამეფებისას გაიზარდა ანტიყივჩაღური დამოკიდებულება, ყივჩაღებმა დაკარგეს სამეფო კარის მხარდაჭერა. ყივჩაღთა საქართველოდან წასვლას, აგრეთვე, ხელი შეუწყო მათი მთავარი მოწინააღმდეგის ვლადიმირ მონომახის სიკვდილმაც. ყივჩაღები კვლავ აქტიურად ერთვებიან სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში გიორგი III-ის გამეფების შემდეგ. შენარჩუნებულია ურთიერთობა ყივჩაღთა სტეპებში დაბრუნებულ ყივჩაღებთან, შირვანის მსგავსად ისინიც საქართველოს ვასალები ჩანან. უფრო მეტიც, საქართველოში მცხოვრები ყივჩაღთა სამხედრო როლი იზრდება, მათი მეთაური ყუბასარი დაწინაურდა სამეფო კარზე და მიიღო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები. მიუხედავად იმისა, რომ თამარი იძულებული გახდა ყუბასარი გადაეყენებინა თანამდებობიდან, ყივჩაღებს არ დაუკარგავთ თავიანთი გავლენა, ყივჩაღთა რაზმები კვლავ მონაწილეობენ ქართველთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში. საქართველოში არიან როგორც დასასახლებლად, ისე სამხედრო სამსახურისთვის მოსული ყივჩაღები.

[47] Kirakos Ganjakets'i. History of the Armenians. Translated by Robert Bedrosian. New York. 1986, გვ. 169.
[48] P.B. Golden. Qipchaqs in Georgia, გვ. 85.
[49] რ. კიკნაძე. ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1974, გვ. 35.
[50] ისტორაიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 436.

Nino Kakalashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

QIPCHAQS AND GEORGIA IN THE AGE OF THE SUCCESSORS OF DAVID AGHMASHENEBELI*

Summary

The relations between Georgia and Qipchaqs did not cease after the death of David Aghmashenebeli. There are opinions expressed about their staying or leaving Georgia. We think that after the death of David Aghmashenebeli, some part of the Qipchaqs stayed in Georgia. The reasons for their departure from Georgia were both internal and external. They lost the support of Georgian royal court. During the reign of Demetre I, they did not appear in the military-political arena. After the death of Vladimir Monomakh, the unity of Russ ceased and the Qipchaqs restored their positions. So the Qipchaqs could return to the steppes.

The political situation in Georgia changed during the reign of Giorgi III. The Qipchaqs, stayed in Georgia, restored their military-political influence and took part in the battles of the Georgians. Kubasar the leader of the Qipchaqs got the position of Amirspasalari and Mandaturtukhutcesi. The successors of Otrok the son of Sharucan continued the relations with Georgia and were the vassals of Georgia.

The policy of Giorgi III did not change during the reign of Tamar. Giorgi III and King Tamar supported the Qipchaqs to participate in the battles. There was a new group of Qipchaqs in Georgia for to settle in Georgia and they were known as “New Qipchaqs” and the Qipchaqs for military service. Savalat, the brother of Sevinj the King of the Qipchaqs, was in Georgia for military service.

Thus, the Qipchaqs did not cease the relations with Georgia. There were some difficulties but the part of Qipchaqs stayed in Georgia. Georgian Kings, David IV, Giorgi III and Tamar supported the Qipchaqs and they were in their service.

* This research PHDF – 22-4327 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).